დანართი

ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

ჩვენი მიზანია, გაგაცნოთ, როგორ ამუშავებს სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

ამ დოკუმენტით გაგაცნობთ:

ა) ვინ ვართ ჩვენ?

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. კოლეჯი ვალდებულია, კანონიერად დაამუშავოს პერსონალური მონაცემები. საქართველოს კანონმდებლობით, ჩვენ ვრთ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ პასუხს ვაგებთ პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ დამუშავებისთვის.

ჩვენი საიდენტიფიკაციო მონაცემებია:

- სრული სახელწოდება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კოლეჯი „ბლექსი“
- საიდენტიფიკაციო კოდი - 245610398

ჩვენი საკონტაქტო მონაცემებია:

- მისამართია - ბათუმი, ლერმონტოვის N92ა
- ელექტრონული ფოსტის მისამართი - info@blacksea.edu.ge
- ტელეფონის ნომერი: +995 (422) 24-77-50

ჩვენ შესახებ დამატებით ინფორმაციას შეგიძლათ გაეცნოთ აქ: www.blacksea.edu.ge

ბ) რა არის პერსონალური მონაცემი?

პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ადამიანს უკავშირდება. ადამიანი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისის იდენტიფიცირება (მაგალითად: სახელით, გვარით, პირადი ნომრით, ტელეფონის ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, მისამართით, ფიზიკური, ფსიქიკური, გენეტიკუტრი, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით...)

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემია, ისთი მონაცემი, რომელიც უკავშირდება ადამიანის:
ა) რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას,
ბ) პოლიტიკურ შეხედულებებს, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს,
გ) ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას,
დ) პროფესიული კავშირის წევრობას,
ე) ბრალდებულის ,სჯავრდებულის, გამართლებულის, დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში,
ვ) ბრალდებას, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას;
ზ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ცნობას,
თ) ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძლადობის მსხვერპლად ცნობას,
ი) პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის გამოყენებას

კ) გენეტიკური მონაცემი, რომელიც ადამიანის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება
ლ) ბიომეტრული მონაცემი, რომელიც ადამიანის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.

ბიომეტრული მონაცემი არის ადამიანის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებული მონაცემი (მაგალთად სახის გამოსახულება, თვალის ფერი, თითის ანაბეჭდი, ხმა და ა.შ.), რომელიც მუშავდება ტექნიკის გამოყენებით.

გ) რას ნიშნავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება?

პერსონალურ მონაცემის დამუშავება არის პერსონალური მონაცემის მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მონაცემის მოპოვება, შეგროვება, მასზე წვდომა, გაცნობა, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოყენება, გამოთხოვა, დაბლოკვა, წაშლა, განადგურება, მონაცემის ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი, აუდიო-მონიტორინგი, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათ გადაცემით, გასაჯაროვებით, გავრცელებით ან სხვაგვაარად ხელმისაწვდომად გახდომით.

მონაცემი შეიძლება დამუშავდეს ავტომატური, არაავტომატური ან ნახევრად ავტომატური საშუალებით. მონაცემი ავტომატური საშუალებით მუშავდება, თუ დამუშავებისთვის გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები (მაგალითად, კომპიუტერული პროგრამები). არაავტომატური საშუალებით დამუშავებისას მონაცემი მუშავდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გარეშე (მაგალითად ფურცელზე ჩაწერით). ნახევრად ავტომატური საშუალებით მონაცემი მუშავდება მაშინ, როდესაც მონაცემის დამუშავებისას ერთდროულად გამოიყენება როგორც ავტომატური ისე - არაავტომატური საშუალებები.

ის, ვინც ამუშავებს (ან ვისი შეკვეთითაც ამუშავებენ) პერსონალურ მონაცემებს არის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი.

ის, ვის პერსონალური მონაცემსაც ამუშავებენ, არის მონაცემთა სუბიექტი.

ის, ვისაც პერსონალური მონაცემი გადაეცემა არის მონაცემთა მიმღები.

დ) პერსონალური მონაცემის დამუშავების პრინციპებს

პერსონალური მონაცემის დამუშავება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან ამაზე თანახმა არის მონაცემთა სუბიექტი.

პერსონალური მონაცემი უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად.

მონაცემი უნდა დამუშავდეს მხოლოდ მკაფიოდ, კონკრეტულად განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნით. მონაცემი უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

მონაცემი უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. არაზუსტი მონაცემი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან გასწორდეს დაუყონებლივ.

მონაცემი შეიძლება შეინახოს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესახბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

მონაცემი უნდა დამუშავდეს უსაფრთხოდ, მონაცემი დაცული უნდა იყოს უკანონო დამუშავებისგან, დაკარგვისგან, უკანონო გამჟღავნებისგან.

მონაცემთა სუბიექტმა უნდა იცოდეს როგორ და რა მიზნით მუშავდება მისი მონაცემები. მონაცემი უნდა დამუშავდეს იმგვარად, რომ არ შეილახოს მონაცემთა სუბიექტის ღირსება.

ე) მონაცემთა სუბიექტის უფლებებს

მონაცემთა სუბიექტის უფლებები გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით. ამ პარაგრაფში განვიხილავთ, თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებებს:

1. ინფორმაციის მიღების უფლება

კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, თქვენ გაქვთ თქვენი მონაცემის დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. ეს ნიშნავს, რომ:
ა) თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე ან/და დამუშავების დაწყებიდან გონივრულ ვადაში, უნდა მოგეწოდოთ ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ.
ბ) თქვენ გაქვთ უფლება უსასყიდლოდ მოითხოვოთ და მიიღოთ თქვენ უფლება გაქვთ, მოგვთხოვოთ იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა თქვენი მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად, შეგიძლათ, უსასყიდლოდ მიიღოთ ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ.

ინფორმაცია, რომელიც შეგიძლიათ გამოითხოვოთ უსასყიდლოდ	ინფორმაცია, რომელიც უნდა მოგაწოდოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე/დამუშავების დაწყებიდან გონივრულ ვადაში
ა) თქვენი იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება. ბ) მონაცემის დამუშავების სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნის შესახებ. ბ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ; დ) მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ. ხოლო, თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე. ე) მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ. ვ) მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას; ზ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და	ა) თქვენი იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება,. ბ) მონაცემის დამუშავების სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნის შესახებ შესახებ. გ) მონაცემთა მოპოვების წყაროს შესახებ. დ) მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე. ე) მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ. ვ) მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, თუ იგეგმება მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას ზ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ.

მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა; თ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.	თ) მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობის შესახებ, ხოლო თუ მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა – მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) ი) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია კ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

2. მონაცემთა გაცნობისა და ასლის გადაღების უფლება

კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, თქვენ გაქვთ თქვენ შესახებ პერსონალური მონაცემების გაცნობისა და ასლის უსასყიდლოდ მიღების უფლება.
შესაძლოა, კანონმდებლობით განისაზღვროს მონაცემთა ასლის მიღების საფასური, რაც არ უნდა აღემატებოდეს მონაცემთა ასლის გადაღებისთვის გაღებულ ხარჯებს.

3. მონაცემთა განათლების, შესწორებისა და შევსების უფლება

თქვენ უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ, თქვენ შესახებ მცდარი, არაზუსტი ან არასრული მონაცემის შესწორება, შევსება ან განახლება.

თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უნდა განგემარტოთ უარის თქსმის საფუძველი და მისის გასაჩივრების წესი.

4. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის,მონაცემთა წაშლის ან განადგურების უფლება

თქვენ უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ თქვენ შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, ასევე - პერსონალური მონაცემების წაშლა ან განადგურება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, კოლეჯი უფლებამოსილია, დასაბუთებული უარი განაცხადოს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტაზე (მათ შორის, მონაცემთა წაშლაზე ან განადგურებაზე) და განგიმარტოთ უარის გასაჩივრების წესი.

საფუძველი კი, რის გამოვ შეიძლება, უარი გეთქვათ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტაზე, შეიძლება იყოს მონაცემთა დამუშავების თაობაზე საკანონმდებლო მოთხოვნა, საჯარო ინტერესების განხორციელება და ა.შ.

5. მონაცემთა დაბლოკვის უფლება

თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტს, უფლება გაქვთ მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დაბლოკვა, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) თქვენ სადაოდ ხდით მონაცემთა სიზუსტეს ან ნამდვილობას.

ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა, თქვენ ეწინააღმდეგებით მის წაშლას და მოითხოვთ მონაცემის დაბლოკვას.

გ) მონცემი სჭირო აღარ არის მისი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა თქვენ ის გჭირდებათ საჩივრის/სარჩელის წარსადგენად.

დ) თქვენ მოითხოვთ მონაცემის დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს თქვენი მოთხოვნის განხილვა.

ე) მონაცემთა შენახვა აუცილებელია მისი მტკიცებულად გამოყენების მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისინწბულ შემთხვევაში (მაგალითად, როცა საფრთხე ექმნება კოლეჯისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას...) შეიძლება უარი გეთქვათ მონაცემთა დაბლოკვაზე.

6. მონაცემთა გადატანის უფლება

თქვენ გაქვთ მონაცემთა გადატანის უფლება. ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენი მონაცემები ავტომატური საშუალებით მუშავდება თქვენი თანხმობის საფუძველზე, ან/და თქვენი მოთხოვნით, თქვენთან ხელშეკრულების დადების მიზნით, თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ დამუშავებული მონაცემები ან მოითხოვოთ ამ მონაცემების სხვა პირისთვის (დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირისთვის) გადაცემა.

7. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები

თქვენ უფლება გაქვთ არ დაექვემდებაროთ მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება:

ა) ეფუძნება თქვენს აშკარად გამოხატულ თანხმობას.

ბ) აუცილებელია თქვენსა დაკოლეჯს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად.

გ) გათვალისწინებულია კანონით ან კანონით გაცემული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე აქტით.

8. თანხმობის გახმობის უფლება

თქვენ გაქვთ მონაცემთა დამუშავებაზე **თანხმობის გახმობის უფლება.** ეს ნიშნავს, რომ თუ მონაცემის დამუშავების საფუძველია თქვენი თანხმობა, თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოიხმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა. თქვენ უფლება გაქვთ, თანხმობა გაიხმოთ იმავე ფორმით (წერილობით, ზეპირად...) რა ფორმითაც გაეცით თანხმობა. თანხმობის გამოხმობამდე, თქვენ უფლება გაქვთ, მოითხოვოთ ინფორმაცია, თანხმობის გახმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

9. გასაჩივრების უფლება

თქვენ გაქვთ **გასაჩივრების უფლება.** ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ ვარღვევთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში თქვენს უფლებებს ან თქვენი მონაცმების დამუშავების წესებს, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს/ სასამართლოს ანდა საქართველსო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

თქვენ უფლება გაქვთ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გადაწყვეტილება გაასაჩივროთ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების და ვადების დაცვით.

ვ) თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღვუდვის საკანონმდებლო საფუძვლებს

თქვენი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს. მაგრამ, ამისთვის საჭიროა, რომ რამდენიმე პირობა ერთდროულად არსებობდეს. კერძოდ:

1. კანონმდებლობაში პირდაპირ უნდა ეწეროს, თქვენი კონკრეტული უფლების შეზღუდვის თაობაზე.
2. კანონმდებლობის ეს ჩანაწერი არ უნდა ეწინააღმდეეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს.
3. თქვენი უფლების შეზღუდვა მიზნად უნდა ისახავდეს კანონით გათვალისწინებული სააფრთხეების თავიდან არიდებას.
4. თქვენი უფლების შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი და პროფორციული ზომა, დემოკრატიულ საზოგადოებაში, ამ საფრთხეების თავიდან ასარიდებლად.

საფრთხეები, რომელთა ასაცილებლადაც შეიძლება დაიშვას თქვენი უფლებების შეზღუდვა გაწერილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში. ეს საფრთხეები შეიძლება ეხებოდეს ისეთ სფეროებს როგორიცაა:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესები;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები;

გ) დანაშაულის თავიდან აცილება, დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, მართლმსაჯულების განხორციელება, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულება და პრობაცია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა;

დ) ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ინტერესები;

ვ) სხვა პირების უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლება.

ზ) სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვა

თ) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთება და სხვა.

ზ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს

კოლეჯის პერსონალურ მონაცემა დაცვის ოფიცერი, თქვენი მიმართვის შემთხვევაში, მოგაწვდით ინფორმაციას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და თქვენი უფლებების შესახებ.

თ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში დამატებითი ინფორმაციის მოძიების გზებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში თქვენი უფლებების, ჩვენი ვალდებულებების, პეროსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებისა და ამ წესების დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თაობაზე ინფომრაციას გაეცნობით:

ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში (იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=2).

ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურსი ვებ-გვერდზე (იხ. ბმული: https://pdps.ge/ka).

ი) ინფორმაციას კოლეჯის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების შესახებ

ამ პარაგრაფით გაგაცნობთ კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში, ძრითადად დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებს.ა

აქვე განგიმარტავთ, რომ წარმომადგენლის საშუალებით მომართვის შემთხვევაში, კოლეჯი ინახავს პირის წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, იმ ვადით, რა ვადითაც განსაზღვრულია ძრითადი დოკუმენტის შენახვა.

კოლეჯი მონაცემებს ამუშავებს ავტომატური, და ნახევრად ავტომატური, არაავტომატური საშუალებით. ავტომატურად დამუშავებული მონაცემი ნადგურდება მონაცემის წაშლით. არაავტომატურად დამუშავებული მონაცემი ნადგურდება ამ მონაცემის მატარებელი ნივთის/დოკუმენტის განადგურებით. ნახევრად ადვტომატური საშუალებით დამუშავებული მონაცემი ნადგურდება როგორც ელექტრონულ, ისევე მატერიალურ მატარებელზე.

ამ პარაგრაფში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ მესამე პირთა შესახებ, ვისაც, შესაძლოა, გადაეცეს თვენი მონაცემი. ასევე, გაცნობებთ, რომ თქვენ პერსონალურ მონაცემებს შესაძლოა, გაეცნოს კოლეჯის მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოები (მაგალითად, განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის ექსპერტები).